პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 228 (2948) • შაბათი, 20 ნოემბერი, 1965 წ. • ფასი 2 კაპ.

# იმედების გაცრუება

4:4




გუშინ გათამაშდა მატჩის VIII პარტია, რომელმაც იმედები გაუცრუა გულშემატკივრებს. ყველა ელოდა დაძაბულ ბრძოლას, მით უმეტეს, რომ შეჯიბრება დასასრულს მიუახლოვდა. მაგრამ ასე არ მოხდა.

სპასკიმ ლაზიერის პაიკით დაიწყო პარტია, ტალმა ახალ-ინდური დაცვით უპასუხა.

— თამაში ევროპიდან აზიაში გადავიდა, — იხუმრა მსოფლიოს ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა. — ჯერ მეტოქეები ესპანურ და სიცილიურ პარტიებს ამჯობინებდნენ, ახლა ინდური სისტემა აირჩიეს.

პარტიის შესავალმა ბევრს მოაგონა სპასკი — კერესის მეოთხედფინალური მატჩის I პარტია, რომელიც უაღრესად დაძაბულად წარიმართა. მე-10 სვლაზე ტალმა სხვა გაგრძელება აირჩია და სწრაფად განავითარა ფიგურები. ცენტრალური ვერტიკალის გახსნისთანავე ორივე მეტოქემ აქ თავი მოუყარა ლაზიერებსა და ეტლებს. ბუნებრივია, მოხდა ფიგურათა გაცვლა და შემტევი ძალები საგრძნობლად დაიცხრილა. პოზიციაც მთლიანად გათანაბრდა.

25-ე სვლაზე მეტოქეებმა მოგებაზე რისკიან თამაშს ფრზავება ამჯობინეს.

ამრიგად, VIII პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 4:4. სათამაშო დარჩა კიდევ 4 პარტია, მაგრამ თუ ისინიც ყაიმით დასრულდა, მაშინ დაინიშნება დამატებითი 8 შეხვედრა. ამ მატჩში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც პირველი მოიგებს პარტიას. თუ დამატებითი 8 შეხვედრაც ყაიმით დასრულდა, რაც წარმოუდგენელია, მაშინ ტ. პეტროსიანის მეტოქეს „გამოაცნობს" კენჭისყრა.

## სტარტზე...

ბ ე ლ ც ი, 18 ნოემბერი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა საიუბილეო XXV ჩემპიონატში გათამაშდა II და III ტურები.

II ტურში რანიკუმ დაამარცხა ბორისენკო, ხოლო სკეგინამ — ე. რუბცოვა. კოზლოვსკაია — მუსლიმოვას, ზატულოვსკაია — ზვორიკინას, ბელავენეც — იდელჩიკისა და არჩაკოვა — გოლოვეის პარტიები ყაიმით დასრულდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო. კაკაბაძეს ზედმეტი პაიკი აქვს კოლოტისთან, ივანოვას კი — უარესი პოზიცია ო. რუბცოვასთან.

III ტურში ო. რუბცოვამ მოუგო გოლოვეის, ე. რუბცოვამ — ბორისენკოს, კაკაბაძემ — არჩაკოვას, მუსლიმოვამ — კოლოტის, იდელჩიკმა — ზატულოვსკაიას. პოპრუკაილო — მიხაილოვას, სკეგინა — კონოპლიოვასა და იგნატიევა — ბელავენეცის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

I ტურის პარტიაში ბორისენკო — ო. რუბცოვას შორის გაიმარჯვა რუბცოვამ. კაკაბაძეს ზედმეტი ხარისხი აქვს კოზლოვსკაიასთან გადადებულ პარტიაში.

გ. ფამილიანტი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

### ფინიშის საათი!

◆ პ რ ა ღ ა, 19 ნოემბერი. 6 ქვეყნის სტუდენტ ვაჟთა გუნდებმა დაიწყეს აქ ფრენბურთში ტრადიციული ტურნირი „17 ნოემბრის თასზე". პირველ მატჩში სსრ კავშირის სპორტსმენებმა დაამარცხეს ბულგარელები — 3:1.

◆ ჟ ე ნ ე ვ ა, 19 ნოემბერი. საცხენოსნო სპორტის ვარსკვლავთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში დიდი წარმატება მოიპოვა ესპანეთის გუნდმა. მან ბრწყინვალე შედეგით ($15^3/_4$ საჯარიმო ქულა) მოიგო ტურნირი დაბრკოლებათა გადალახვაში. 13-დაბრკოლებიანი მანძილი ოთხმა ესპანელმა მხედარმა ყველაზე სწრაფად და „სუფთად" გადალახა. II ადგილზე გავიდნენ იტალიელები, რომელთა შორის ასპარეზობდა ცნობილი მანჩინელიც. იტალიელები გამარჯვებულთ მხოლოდ 1/4 ქულით ჩამორჩნენ.



ამ დღეებში, როცა დიდოსტატი ბ. სპასკი მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა მატჩში თამაშობს, მისი და ირაიდა გამოდის რუსულ შაშში კიშინიოვს მიმდინარე საკავშირო პირველობაში. ახალგაზრდა ლენინგრადელმა ოსტატის ქულა მოაგროვა ვაჟთა ტურნირში, რაც მანამდე არც ერთ ქალს არ გაუკეთებია. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ირაიდა ოქროს მედლის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლება. მაგრამ მას სერიოზული გამოცდა ელის ჩვენი ქვეყნის 16 უძლიერეს მოშაშე ქალთან შერკინებაში, პირველ რიგში კი სახელმოხვეჭილ ტრიოსთან — სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონთან, უფელ ს. ოგოროდნიკოვასთან, რიგელ ი. ცინესთან და ხარკოველ მ. ფრიდმონთან.

I ტურში კენჭისყრამ ერთმანეთს შეახვედრა სპასკაია და ოგოროდნიკოვა. ჩვეულებრივი დებიუტის შემდეგ, ლენინგრადელმა ნაკლებად შესწავლილი გაგრძელება გამოიყენა. ოგოროდნიკოვამ ვერ მონახა ერთადერთი სწორი სვლა და ორი შაში წააგო. ეფექტური შეწირვით სპასკაიამ გაამაგრა თავისი პოზიცია და გაიმარჯვა.

ს უ რ ა თ ზ ე: თავისი სვლის შემდეგ ი. სპასკაია თვალს ადევნებს მეტოქის თამაშს.

ფოტო ნ. პრუსაკოვისა (საქდესი).

## ღირსეულთა დაჯილდოება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ თვალსაჩინო სპორტული წარმატებებისთვის სამახსოვრო მედლებით დააჯილდოვა სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. ვორონინი („ტორპედო", მოსკოვი), ს. მეტრეველი და მ. მესხი („დინამო", თბილისი), რომლებმაც 30 მატჩზე მეტი ითამაშეს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში.

სამახსოვრო ოქროს ჟეტონი მიიღო გ. ხუსაინოვმა („სპარტაკი", მოსკოვი), რომელსაც 20-ზე მეტი მატჩი აქვს ნათამაშევი.

მოსკოვის არმიელთა გუნდის წევრს ა. შესტერნიოვს გადაეცა ვერცხლის მედალი ნაკრებში 10-ზე მეტი თამაშის ჩატარებისთვის.

## სამჯერ „დამხობილი" ჩემპიონი

რიო-დე-ჟანეირო, 19 ნოემბერი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მესამედ დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი — ბრაზილიის ეროვნული გუნდი.

მატჩის ანგარიშია 94:89 (42:45).

შეხვედრის შემდეგ სსრ კავშირის გუნდს გადაეცა გამარჯვების ქალღმერთის — ნიკეას ქანდაკება.



საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ფეხბურთში — თბილისის „თოლია": პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) — ს. სიხარულიძე (გუნდის საზოგადოებრივი ხელმძღვანელი), რ. ტოგონიძე, რ. ტაბუცაძე, ვ. ჩარკვიანი, ა. მამულოვი, ჯ. ქურციკიძე, ო. კერესელიძე, გ. კახნიაშვილი (მწვრთნელი), ბ. ჩიტაია (მწვრთნელი); მეორე რიგში — მ. პირაძაშვილი, ა. მარანჯევი, ა. სიტკოვი, თ. შომახია, გ. სარაჯიშვილი, ზ. წუწუნავა, გ. ბუიძე, გ. გიორგაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## სენსაცია ლონდონში

ლ ო ნ დ ო ნ ი, 19 ნოემბერი. გუშინ ადგილობრივი „ტოტენჰემ ჰოტსპური" ამხანაგურ მატჩში შეხვდა უნგრეთის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს. უნგრელებმა სენსაციური მარცხი განიცადეს — 0:4. ანგარიში 23-ე წუთზე გახსნა ლონდონელთა (და შოტლანდიის ნაკრების) ცენტრფორვარდმა გილზინმა. რამდენიმე წუთის შემდეგ მანვე თავური დარტყმით გაიტანა მეორე გოლი. შესვენებამდე მაკ-კეიმ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 3:0.

შესვენების შემდეგ უნგრელები ამაოდ შეეცადნენ თამაშში გარდატეხის შეტანას. ფინალურ სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე გილზინმა მეოთხედ შეარხია სტუმრების კარის ბადე.

უნგრელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გელეი, კაპოსტა, სოვარი, ნადი, მესეი, შიპოში, ბენე, ფარკაში, ალბერტი, შოიმოში, ფენვეში.

დღეს უნგრეთის ნაკრები სამხრეთ ამერიკას გაემგზავრა.

(საქ. ინფ.).

## დედაქალაქის პირველობაზე

თ ბ ი ლ ი ს შ ი ორი დღეა, რაც დაიწყო დედაქალაქის ჩემპიონატი ხელბურთში. პირველობას ერთმანეთს ეცილებიან ქალთა 6 და ვაჟთა 13 გუნდი (ვაჟები ასპარეზობენ ორ ქვეჯგუფად).

ქალთა ტურნირის I—II ტურებში ასეთი შედეგები მოგვცა: სპი — უცხო ენათა ინსტიტუტი 17:13, თსუ — „ივერია" 13:18, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი — თბილისის განათლების განყოფილების გუნდი 5:2, სპი — პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი 7:7, თბილისის განათლების განყოფილების გუნდი — თსუ 2:14.

ვ ა ჟ ე ბ ი: I ქვეჯგუფი. სამედიცინო ინსტიტუტი — პუშკინის სახელობის ინსტიტუტი 25:22, სპი (II) — უცხო ენათა ინსტიტუტი 20:28; II ქვეჯგუფი. თბილისის განათლების განყოფილების გუნდი — კინოსტუდია 17:14, ფიზკულტურის ინსტიტუტი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 30:40, ავტომატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — თბილისის საარტილერიო სასწავლებელი 10:17, სპი (I) — განათლების განყოფილების გუნდი 26:15, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — ავტომატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 38:15.

ხელბურთი

## [illegible]

- ისევ მ. ჟაზი!
- მხოლოდ 1967 წელს?
- 4 კუბელი ჭადრაკშვილი...

● პარიზი, 17 ნოემბერი. მ. ჟაზიმ, რომელმაც რამდენიმეჯერ შეუტია თავისივე მსოფლიო მიღწევას, ბოლოსდაბოლოს მას 0,6 წამით „გადაასწრო“. ადგილობრივი სპორტის ინსტიტუტის დარბაზში მან 1000 მეტრი გაირბინა 2 წუთსა და 21 წამში. „დამარცხებულ“ უმაღლეს მაჩვენებელს ცნობილმა ფრანგმა მორბენალმა მიაღწია 1962 წელს.

● ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. იქნება თუ არა მძლეოსნური მატჩი ევროპა — ამერიკა? ამ შეჯიბრების ბედზე ჯერ კიდევ იმსჯელებენ იააფ-ის ევროპული კომიტეტის სხდომაზე კოპენჰაგენში, ამერიკის სამოყვარულო ათლეტიკის კავშირის წარმომადგენელმა კი უკვე განაცხადა, რომ გაისად ამ მატჩის ჩატარება ლაპარაკიც ზედმეტია. იგი შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ პანამერიკული თამაშების შემდეგ 1967 წელს, — დაამატა მან. მატჩი შეიძლება შედგეს მონრეალში (კანადა) ან ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის რომელიმე ქალაქში.

● ჰავანა, 17 ნოემბერი. კუბის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ახალგაზრდა გუნდი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატში. სასპარეზოდ გამოვლენ ერნანდესი, ო'ფარილი, სანტანა და დელ პინო, რომლებიც მოამზადა ჩეხოსლოვაკიელმა მწვრთნელმა ი. ელიზაჩკოვამ.

# ვიდრე გვიან არ არის

ბევრ საინტერესო სპორტულ ღონისძიებას გვპირდება მომავალი ზამთრის სეზონი. მათ შორის ცენტრალური მოვლენა იქნება სსრ კავშირის ხალხთა II „თეთრი ოლიმპიადა“, რომლის ფინალური შეჯიბრებანი გაიმართება 1966 წლის 5-13 მარტს. სპარტაკიადის მონაწილენი სვერდლოვსკში იასპარეზებენ რბენაში. თანამედროვე ორჭიდში (ბიატლონში), ტრამპლინიდან ხტომასა და სათხილამურო ორჭიდში; ტერსკოლში (ელბრუსის რაიონი) — სამთო-სათხილამურო სპორტში; კიევში — ფიგურულ სრიალში, ხოლო გორკში ერთმანეთს შეეჯიბრებიან ჰოკეისტები. ეს შეჯიბრებანი წარმოადგენს გრენობლის (საფრანგეთი) ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის სსრ კავშირის ნაკრების სამზადისის ძირითად ეტაპს.

როგორც ცნობილია, 1962 წლის I საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს სამთო-მოთხილამურენი და ტრამპლინიდან მხტომელები დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ. სპეციალურ სლალომში ჩემპიონი გახდა ბაკურიანელი ი. ჯანგიმეგრიძე, სამთო სახეობებში საპრიზო ადგილები მოიპოვეს ლ. გოგოლაძემ, შ. კოზანაშვილმა და მესტიელმა მოსწავლემ ზ. კახიანმა. ტრამპლინიდან ხტომაში ოქროს მედალი დაისაკუთრა გ. წაქაძემ, გუნდმა კი III ადგილი მოიპოვა.

სსრ კავშირის ხალხთა II ზამთრის სპარტაკიადის შესახვედრად რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს. 26-29 დეკემბერს ბაკურიანში მოეწყობა საქართველოს სპორტკავშირის პრიზის გათამაშება სეზონის გახსნის ჯილდოზე. შეჯიბრება გაიმართება ორ ჯგუფად: I ჯგუფში იასპარეზებენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები, II — ფიზკულტურული კოლექტივების სპორტსმენები. ასპარეზობათა პროგრამაშია სპეციალური და გიგანტური სლალომი, 40 და 70-მეტრიანი ტრამპლინებიდან ხტომა, რბენა (ქალთათვის — 3 და 5, ვაჟთათვის — 10 და 15 კმ-ზე), ორჭიდი. I ჯგუფის კოლექტივების მხტომელთა და ორჭიდელთა შეჯიბრება მოეწყობა 70-მეტრიან ტრამპლინზე, მეორეჯგუფელები კი ძალებს გამოცდიან „ორმოციანზე.“

10-12 იანვარს ბაკურიანში გაიმართება საქართველოს მოსწავლეთა შეჯიბრება. იანვრის შუა რიცხვებშივე ჩატარდება რესპუბლიკური ასპარეზობა ფიგურულ სრიალში. 9-14 იანვარს ტერსკოლში მოეწყობა უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც ჩვენი სპორტსმენებიც გამოვლენ. ტრამპლინიდან მხტომელები საკავშირო საქალაქთაშორისო მატჩში მიიღებენ მონაწილეობას.

ყველა ამ ღონისძიებამ საქართველოს სპორტსმენები უნდა მოამზადოს II რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალისთვის, რომელიც 5-11 თებერვალს მოეწყობა ბაკურიანში. სპარტაკიადის პროგრამაშია სათხილამურო სპორტის 7 სახეობა — სამთო სახეობები, ტრამპლინიდან ხტომა, ორჭიდი, რბენა, ბიატლონი, ჰოკეი და ფიგურული სრიალი. მონაწილე კოლექტივები დაიყოფიან ორ ჯგუფად. I ჯგუფს შექმნიან აჭარის, თბილისის, ბორჯომის, მესტიისა და ახალქალაქის გუნდები. II ჯგუფში გამოვლენ სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ამბროლაურის, ონის, დუშეთის, ლენტეხის, ცაგერის, ყაზბეგის, თიანეთის, ბოგდანოვკის, ახალციხისა და ადიგენის კოლექტივები.

შეჯიბრებაში დაიშვებიან სპორტსმენები, რომლებმაც 1965-66 წლებში მოიპოვეს არანაკლებ II თანრიგის შედეგი. სპარტაკიადაში საერთო გუნდური პირველობა განისაზღვრება საჯარიმო ქულების უმცირესი ჯამით (I ჯგუფში სპორტის 5 სახეობის, ხოლო მეორეში — 4 სახეობის მიხედვით). სამთო-სათხილამურო სპორტსა და ხტომებში ამ სახეობათა განვითარების სტიმულირების მიზნით დაწესებულია კოეფიციენტი „2“. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზებით, ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულნი — საქართველოს სპორტკავშირის გარდამავალი პრიზებით.

ნაკრები გუნდების პირველობის პარალელურად განისაზღვრება სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მაჩვენებლები. მათ ქულებს აძლევენ ის სპორტსმენები, რომლებიც ათეულებში დაიმკვიდრებენ ადგილებს.

სეზონის ამ დიდი ღონისძიებისთვის სამზადისი ჩვენში დიდი ხანია დაიწყო. სათხილამურო სპორტის რესპუბლიკურმა ფედერაციამ დროულად შეიმუშავა ნაკრების წევრთა მზადების პერსპექტიული გეგმა.

მოსამზადებელი მუშაობა ტარდება თბილისში — ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „განთიადის“ ბაზებზე, ბაკურიანში — „დინამოს“ ბაზაზე და განათლების რაიონული განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის ჯგუფებში, მესტიაში — „კოლმეურნის“ ბაზით და ბავშვთა სპორტულ სკოლაში, აგრეთვე ახალქალაქის რაიონში. სამწუხაროდ, ყაზბეგის, ონის, თიანეთისა და ხულოს თოვლიან რაიონებში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთში სამზადისი არ იგრძნობა. ასეთივე სავალალო მდგომარეობაა ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში, რომლებსაც დროულად მიეთითათ მოეწყოთ სასწავლო ტრამპლინები. ამ არანორმალური ვითარების ძირითადი მიზეზია სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოებისა და ადგილობრივი სპორტკავშირების არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა. ბევრგან მივიწყებულია სრულწლიური სისტემატური სასწავლო-საწვრთნელი საქმიანობა; ძალიან აკლიათ ინვენტარი და აღკაზმულობა. სავაჭრო ორგანიზაციები კი ყურსაც არ იბერტყავენ მთიან რაიონებში მაღალხარისხოვანი ინვენტარის შეზიდვით.

ბევრ სპორტსაზოგადოებასა და უწყებაში სათხილამურო სპორტს გვერდით უყურებენ და იგი სეზონურ მოვლენად მიაჩნიათ. ასეთ დიდ სპორტსაზოგადოებებშიც კი, როგორიცაა „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „შრომითი რეზერვები“, არმიელთა სპორტული კლუბი, რომელსაც ადრე კარგი ტრადიციები ჰქონდა, ფაქტიურად შეწყვიტეს ამ სახეობაზე ზრუნვა.

ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სათხილამურო სპორტს საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამისი ორგანოებიც. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თოვლიანი რაიონების სკოლებში (ბაკურიანისა და მესტიის გარდა) არ გააჩნიათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლებისთვის საჭირო სათხილამურო ინვენტარი.

ბაზების კეთილმოწყობისთვის ბევრი რამ კეთდება ბაკურიანში. საქართველოს სპორტკავშირმა და სათხილამურო სპორტის რესპუბლიკურმა ფედერაციამ კოხტა გორის ფერდობზე, დაბის მახლობლად დაიწყეს 90-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობა. იგი უნდა დამთავრდეს 1966 წელს და ერთ-ერთი საუკეთესო იქნება სსრ კავშირში. კოხტა გორაზე დასასრულს უახლოვდება კიდული საბაგირო გზის რეკონსტრუქცია, რომელიც 5 დეკემბრისთვის უნდა დამთავრდეს.

საქმიანობაში აქტიურობენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო, სპორტკლუბი „განთიადი“, ტრესტი „კავკასელექტროსელმშენის“ ლითონკონსტრუქციის ქარხანა, ტრესტ „სოიუზლიფტის“ სამონტაჟო კანტორა. ეს ორგანიზაციები ობიექტებს აწვდიან საჭირო მასალებს და სხვა საჭირო მოწყობილობას. ამიტომაც მათზე ბევრადაა დამოკიდებული აღნიშნულ სამუშაოთა დროულად და ხარისხოვნად დამთავრება.

გაისად საბაგირო გზა გაგრძელდება საყველის მთამდე (კოხტა II). ახალი ტრასა, რომელიც მოაწყო საქართველოს სპორტკავშირის სამთო-სათხილამურო ბაზამ, გაგრძელდება სოფელ მიტარბამდე და 3.300 მეტრს შეადგენს. არსებული საბაგირო გზების რეკონსტრუქციის გარდა მომავალ წელს აიგება საკარძლებიანი საბაგირო გზა მიტარბიდან კოხტის ქვედა სადგურამდე. აგრეთვე ბაკურიანის ზეგნიდან კოხტის წვერამდე.

**ა. არხანგელსკი,**
საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი.

# სპასკი აუმჯობესებს ვარიანტს და... მაინც ყაიმი

**VII პარტია**

**ტალ — სპასკი**
**ესპანური პარტია**

**1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 0—0 8. c3 d5**

ამრიგად, კვლავ მარშალის იერიში! პრინციპული თეორიული დავა გრძელდება. სპასკი ამ მატჩში უკვე მესამედ ირჩევს გაგრძელებას, რომელიც პაიკის შეწირვასთანაა დაკავშირებული.

**9. ed მ:d5**

საინტერესო თამაში გამოდიოდა 9. ... კg4 10. dc e4-ის შემდეგ.

**10. მ:e5 მ:e5 11. ე:e5 c6**

ამ ვარიანტის ავტორმა, ამერიკელმა დიდოსტატმა მარშალმა კაპაბლანკასთან ცნობილ პარტიაში ითამაშა 11. ... მf6 12. d4 კd6 13. ეe2! და თავბრუდამხვევი გართულებების შემდეგ თეთრებმა გაიმარჯვეს. საინტერესოა, რომ მარშალი თავის ახალ გაგრძელებას თითქმის ორ წელიწადს ინახავდა გენიალური კუბელი მოჭადრაკის წინააღმდეგ საიდუმლო იარაღად.

**12. კ:d5**

ალბათ, ტალი არ იყო კმაყოფილი დებიუტით მატჩის I პარტიაში.

და ისე, როგორც V პარტიაში, ამ გაგრძელებას ირჩევს.

**12. ... cd 13. d4 კd6 14. ეe3 ლh4**

ჩემი აზრით, ამ სვლის „საავტორო პატენტი“ აქვს დიდოსტატ ე. გელერს. ადრე „სავალდებულოდ“ თვლიდნენ 14. ... f5-ს, მაგრამ 15. მd2 f4 16. ეe1 f3 17. მ:f3 კg4 18. ეe3 შემდეგ თეთრები მატერიალურ უპირატესობას ინარჩუნებდნენ.

**15. h3 ლf4 16. ეe5 ლf6 17. ეe1**

ძალიან საშიშია 17. ე:d5. 17. ... კb7-ის შემდეგ შავები ძლიერ იერიშს ლებულობდნენ.

**17. ... ლg6 18. ლf3**

მეტოქეებმა გაიმეორეს V პარტიის შესავალი. ახლა სპასკი ირჩევს ახალ გზას, რომელიც, ჩემი შეხედულებით, თვალსაჩინოდ აძლიერებს ვარიანტს.

**18. ... კe6 19. კf4**

თეთრები უკან აბრუნებენ პაიკს, რათა უკეთესი დაბოლოება მიიღონ. სხვა გაგრძელება იყო 19. კe3 ეac8 20. მbd2 b4, რომელსაც რთული თამაში მოჰყვებოდა. უარესია 19. მd2 ეae8 მუქარით 20. ... კg4!

**19. ... კ:f4 20. ლ:f4 კ:h3 21. ლg3**

ცუდია 21. ლf3 კg4 22. ლ:d5 ეad8 და არ შეიძლება 23. ლe4?? ეde8 24. ლ:e8 კf3!

**21. ... ლ:g3**

შავები ტყუილად ცვლიან ლაზიერებს. ენდშპილში, რომელიც ამის შემდეგ გამოდის, მათთვის საოცნებო იქნება ყაიმი. მაშინ, როცა 21. ლc2-ით მათ შეეძლოთ გამოეწვიათ საინტერესო გართულებანი.

**22. fg კf5 23. მd2 ეfe8 24. მb3 მფf8 25. მc5 a5 26. ე:e8+ ე:e8**

**27. a4 ba 28. ე:a4 ეe2**

შესანიშნავი დაცვაა! აქ შეიძლებოდა ალბათ 28. ... ეb8 29. b3 ეb5 და არ ჩანს, როგორ გააძლიერონ თეთრებმა თავიანთი პოზიცია. ამ ვარიანტში ეტლი b5-ზე პასიურად დგას.

**29. b4**

მეტ სიძნელეს უქმნიდა შავებს 29. b3! ეe3 30. ე:a5 ე:c3 31. ეa8+ მფe7 32. ეa7+.

**29. ... ab 30. cb ეb2**

შავმა ეტლმა იდეალური პოზიცია დაიკავა.

**31. ეa8+ მფe7 32. ეb8 ეd2 33. ეb7+**

და რატომ არა 33. b5? იმიტომ, რომ 33. ...ე:d4 34. b6 ეb4 35. b7 მფd6 27. ეc8 d4 თეთრები ვერ იგებენ.

**33. ... მფd6 34. ე:f7 კg6 35. ეa7 მფc6! 36. მe6.**

მოსალოდნელია ყაიმი.

**36. ... კe4 37. ე:g7 ე:g2+ 38. მფf1 ეb2 39. მd8+ მფb5 40. ეc7 ეd2 41. მფe1 ეg2.** პარტია გადაიდო.

**ე. გუფელდი,**
საერთაშორისო ოსტატი.

თამაში გაგრძელდა ასე: 42. მf7 მფ:b4 43. მg5 კd3 44. მ:h7 კc4 45. მf6 ეe2+ 46. მფd1 ეe6 47. მd7 მფc3

სპასკის 47. ... ეe7-ზე ტალი ალბათ ითამაშებდა 48. მფd2 ეg7 49. ეb7+ კb5 50. მc5 ე:g3 51. მe6!

**48. მe5 ეh6 49. მ:c4 dc 50. მფe2 ეe6+ 51. მფf3 მფd3 52. მფf4 ეd6 53. g4** ყაიმზე შეთანხმდნენ სპასკის წინადადებით.

## მკლიანი გვირგვინი

საქართველოს დედაქალაქი ჭადრაკით ცხოვრობს. პრეს-ცენტრში რამდენიმე დაფაზე საჭადრაკო „ასები“ განიცდიან ყოველ სვლას, რომელიც იქ, მაყურებელთა დარბაზის დაძაბულ სიჩუმეში კეთდება. ყოველ საღამოს დიდოსტატთა დავაში მონაწილეობს ნონა გაფრინდაშვილიც, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა რიგიდან, სადაც დაიცვა ჭადრაკის დედოფლის ტიტული.

და აი, აქ, პრეს-ცენტრში, მე ნონასგან მოვისმინე ისტორია, რომელიც მსურს მოგითხროთ.

1962 წელი. მოსკოვი. 20 წლის „კადნიერმა“ კომკავშირელმა ე. ბიკოვასთან მატჩში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ახალი დედოფალი საზეიმოდ აკურთხეს, მაგრამ ოქროს მედალი მან მხოლოდ 2 წლის შემდეგ მიიღო.

1965 წელი. რიგა. ნონა მეორედ ხდება მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალი. დადგა მატჩის საზეიმო დახურვის საღამო. მთავარი არბიტრი ნ. გრუშკოვა-ბელსკა კითხულობს შედეგების ოქმს და მალ-მალე იცქირება კულისებისკენ: სადაცაა უნდა ჩამოვიდეს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენელი, დიდოსტატი ა. კოტოვი, რომელმაც ნონა მსოფლიო ჩემპიონად უნდა გამოაცხადოს, შეამკოს დაფნის გვირგვინით და გადასცეს დიპლომი ოქროს მედალთან ერთად. მაგრამ...

მაგრამ დიდოსტატმა კოტოვმა დააგვიანა და არბიტრს თავად მოუხდა საქმისთვის ხელის მოკიდება: გვირგვინით ნონას შემკობა და მსოფლიო ჩემპიონად მისი გამოცხადება.

შემდეგ, ჭიქების წკრიალში, დიდოსტატმა ა. კოტოვმა კიდევ ერთხელ გამოაცხადა ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ჩემპიონად და ცოტა არ იყოს, უხერხულად აცნობა დამსწრეთ, დიპლომი და მედალი მოგვიანებით იქნებაო.

როდის? და რატომ?

ნონას წყენა გასაგებია. ნაწყენი არიან მისი ნიჭის თაყვანისმცემლებიც. მე მრავალ დიდოსტატსა და ჭადრაკის გამოჩენილ ოსტატთან მომიხდა საუბარი. და ყოველი მათგანი ამის გამო გაოცებით შლის ხელებს: „გაუგებარია!“ მე კი დავუმატებდი: შეუწყნარებელია.

**ი. ხუციშვილი,**
ჩვენი კორესპონდენტი.

თბილისი, 15 ნოემბერი.

(„კომსომოლსკაია პრავდა“ № 269).



სურათზე: პრეტენდენტთა მატჩის პრეს-ცენტრი. VII პარტიას არჩევენ მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი (ცენტრში) და დიდოსტატი ლ. შამკოვიჩი (მარცხნიდან მეორე). ფოტო მ. ზარგარიანისა.

**უცხოეთის**

- „...ყველაზე შავი დღე“!
- დისკუსია უცნაურ საკითხზე
- სტადიონზე დაბადება კარგი ყოფილა!

**ამბები**

ხელ...

გრენტფორდში ... დროს ერთმა მაყურ... თის მინდორზე გატყორცნ... რივი გუნდის მეკარე ჩაჯ... ები მყისვე მიმოიფანტნ... მელი მექანიზმი იქიდან ... ზარა ფეხბურთელს თავში ...

უაზრო შემთხვევაა? ... რი ამბავი დამახასიათებე... ბელთა შმაგობა ინგლისის ... ზულად შეამფოთა არა მარ... იარდიც. ლიგის მდივანმა ... შემთხვევით როდი უწოდ... ყველაზე შავი დღე“.

ზემოაღნიშნული მატჩის ... სპეციალური სასწრაფო თა... ინგლისის გავლენიანი გაზ... ცო:

„ლიგის სხდომაზე 48 ... აღკვეთონ სტადიონზე უწ... ლეისოდ ინგლისის ფეხბურ... გაუწიოს იმ სამხრეთამერი...




„ა" კლასის I ჯგუფში ყველაფერი ნათელია: ცნობილია სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონი, ცნობილია 3 გუნდიც, რომლებმაც საგაისოდ ერთი საფეხურით დაბლა უნდა გადაინაცვლონ, მაგრამ ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი II ჯგუფის გამარჯვებულისა, რომელიც უმაღლეს ლიგაში უნდა გადავიდეს 1966 წელს.

დღეს ბოლო ტურის მატჩებია II ჯგუფში, მაგრამ შეიძლება ვერც აქ გამოირკვეს I ადგილის საკითხი და საჭირო გახდეს დამატებითი თამაშის ჩატარება ნეიტრალურ მინდორზე (დებულების თანახმად, თუ უმაღლეს ჯგუფში გასვლის კანდიდატები (2 ან მეტი გუნდი) დააგროვებენ ქულათა თანაბარ რაოდენობას, მათ შორის უნდა

# რამდენიმე ვარიანტი

ჩატარდეს დამატებითი მატჩები ერთ წრედ).

ცნობილია, რომ ალმა-ათის „კაირატსა" და ერევნის „არარატს" ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ — 36-36. ერევნელები შინ ხვდებიან გორკის „ვოლგას", ხოლო „კაირატი" კიშინიოვში თამაშობს „მოლდოვასთან". თუ ორივე პრეტენდენტმა გამარჯვება მოიპოვა, ძალაში შევა დებულების ზემოაღნიშნული პუნქტი, ერთ-ერთი მათგანის მოგების შემთხვევაში კი საკითხი საბოლოოდ გაირკვევა.

მაგრამ არის სხვა ვარიანტებიც. ვთქვათ, ერევანში და კიშინიოვში მატჩები დამთავრდა ფრედ, ხოლო იაროსლავლის „შინიკმა" ხარკოვში დაამარცხა ადგილობრივი „ავანგარდი". მაშინ სამ გუნდს აღმოაჩნდება 37-37 ქულა, ეს კი ახალი ტურნირის გამართვას გამოიწვევს; ან — ვთქვათ, ორივე ლიდერმა დამარცხება განიცადა, მაშინ „საქმეში ჩაერევიან" სხვა გუნდებიც: ივანოვოს „ტექსტილშჩიკი", ხარკოვის „ავანგარდი", რომლებსაც შეუძლიათ 36 ქულის დაგროვება.

ერთი სიტყვით, დღევანდელი ტური მეტად საინტერესო ბრძოლების მომასწავებელია.

# გამოჩენილი მეკარის სახელობის თასზე

საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტსკოლას აქვს ფილიალები ნორჩ ფეხბურთელთათვის, რომელთა შორისაც ტრადიციულად იმართება გათამაშება გამოჩენილი მეკარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის თასზე.

წლევანდელი ტურნირის მონაწილე 13 რაიონის გუნდები სამ ზონად იყვნენ დაყოფილი. ზონებში I ადგილები დაიკავეს ხობის, ამბროლაურისა და თერჯოლის კოლექტივებმა, რომელთაც ფინალურ ჯგუფში შეუერთდა პრიზის წარსანდელი მფლობელი — ახმეტის ნაკრები.

ტურნირის დასასრულს ახმეტისა და ხობის გუნდებს აღმოაჩნდათ როგორც ქულათა, ისე გატანილი და მიღებული ბურთების თანაბარი რაოდენობა. გამარჯვებულის საკითხი გადაწყვიტა ორივე გუნდის კარში დანიშნულმა 5-5-მა პენალტმა. აქ უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს ხობელებმა, რომლებიც გახდნენ კიდეც საპატიო პრიზის მფლობელები. II ადგილზეა ახმეტა, III — ამბროლაური.

გამოვლინდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები: ლ. ბაკურაძე (ამბროლაური), გ. ბოჟაძე, გ. მალლაკელიძე, ა. ჯიბლაძე, დ. დადუნაშვილი (თერჯოლა), თ. ჯობავა, რ. ქიქინაძე, მ. ხურცია (ხობი), მ. ლეფსვერიძე, ა. ნადირაშვილი (ახმეტა) და სხვ.

ი. იუნაევი

* * *

სურათებზე: ზევით — ხობის გუნდის კაპიტანი ჯ. გვასალია პრიზით; ქვევით — ტურნირის საუკეთესო მეკარე ლ. ბაკურაძე იგერიებს ძნელ ბურთს.

ფოტო ავტორისა.



ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს პ ი რ ვ ე ლ ო ბ ა

# „მხოლოდ" სპორტული პრესტიჟისათვის

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 18 ნოემბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ვოლგა" (კალინინი) 3:1 (1:0).

„ლოკომოტივი": გრძელიშვილი, ფრიდმანი, ჩუბინიძე, ონიანი, კიზირია, ძაგანია, მუმლაძე, იაშვილი, საფაროვი, ახალკაცი, კოშკელოვი.

„ვოლგა": პეტროვსკი, ვოროპაევი, გრანევი, შარიბჟანოვი, ცვეტკოვი, როდიონოვი, სოლდატოვი, ორეხოვი, სავჩენკო, კედროვი, ქირიაკოვი.

მსაჯი მ. რაფალოვი (მოსკოვი).

სურათი ორივე გუნდისთვის, თითქოს, საბოლოოდ ნათელი იყო: კალინინის „ვოლგა", როგორც რსფსრ-ს წარმომადგენელი, უკვე გამოეთიშა „ა" კლასის II ჯგუფს, ვინაიდან მას აღარავითარი შანსი არა აქვს დაეწიოს ამ რესპუბლიკის სხვა, წინ წასულ გუნდებს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია თბილისის „ლოკომოტივი". მართალია, მას არ ელის „ბ" კლასში გადასვლის ხიფათი, მაგრამ დაწინაურების შანსიც აღარა აქვს — „ყუბანის" დაწევა არც ერთ ვარიანტში არ შეიძლება.

და მაინც, მიუხედავად ამისა, ბრძოლაა უკიდურესად დაძაბული, შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა. ეტყობა, ორივე გუნდი სრული პასუხისმგებლობით მიუდგა „მხოლოდ" სპორტული პრესტიჟის დაცვის საქმეს.

ბრძოლა კარგა ხანს უშედეგოდ მიმდინარეობდა და მეტოქეთაგან არც ერთს არ სურდა დაეთმო ინიციატივა მინდვრის შუაგულში. ბოლოს, თბილისელებმა შემტევი ნახევარმცველების — მუმლაძისა და ძაგანიას საშუალებით შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება, რაც 30-ე წუთზე დამთავრდა საფაროვის მიერ გატანილი გოლით — 1:0.

სტუმრების საპასუხო იერიშებით დაიწყო მეორე ტაიმი. „ლოკომოტივის" დაცვაში დაშვებულ იქნა შეცდომა და სოლდატოვმა ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

გამეორდა პირველი ტაიმის ისტორია: მეტოქენი კვლავ შეუდგნენ მინდვრის შუაგულისთვის ბრძოლას და გადამწყვეტი სიტყვა ისევ თბილისელთა ნახევარდაცვამ თქვა: კალინინელებმა თავიანთ საჯარიმო მინდორზე მოცელეს შეტევაზე გასული ძაგანია, რისთვისაც მათ კარში დაინიშნა პენალტი. მუმლაძემ ზუსტად გამოიყენა იგი — 2:1. 33-ე წუთზე იმავე მუმლაძემ კარგად დაამუშავა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი და ანგარიში გაზარდა.

რ. ქორიძე.

# 7 მატჩი

18 ნოემბრის მატჩები „ა" კლასის II ჯგუფში (XVII—XXXII ადგილები) ასე დამთავრდა: „ალგა" (ფრუნზე) — „ლოკომოტივი" (ვინიცა) 0:0, „პოლიტოტდელი" (ტაშკენტის ოლქი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 0:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) — 0:0, „როსტსელმაში" (როსტოვი) — „სპარტაკი" (გომელი) 1:1, „ენერგეტიკი" (დუშანბე) — „დინამო" (ტალინი) 0:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „დინამო" (ლენინგრადი) 2:1, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — სკა (ნოვოსიბირსკი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

II ჯგუფი

XVII — XXXII ადგილები

„ა" კლასი

მდგომარეობა ბოლო ტურის წინ

| | თ. | მ. | ფ | წ | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალგა" (ფრუნზე) | 45 | 18 | 13 | 14 | 45—39 | 49 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 45 | 12 | 22 | 11 | 38—31 | 46 |
| სკა (ნოვოსიბირსკი) | 45 | 16 | 14 | 15 | 50—52 | 46 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 45 | 16 | 13 | 16 | 67—58 | 45 |
| „ლოკომოტივი" (ვინიცა) | 45 | 13 | 19 | 13 | 40—36 | 45 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 45 | 13 | 19 | 13 | 42—44 | 45 |
| „პოლიტოტდელი" (ტაშკ. ოლქი) | 45 | 15 | 15 | 15 | 34—36 | 45 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 46 | 14 | 17 | 15 | 35—42 | 45 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 46 | 14 | 15 | 17 | 38—41 | 43 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 45 | 14 | 11 | 20 | 59—62 | 39 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 45 | 11 | 15 | 19 | 44—56 | 37 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 45 | 13 | 11 | 21 | 49—64 | 37 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 45 | 12 | 11 | 22 | 33—54 | 35 |
| „ენერგეტიკი" (დუშანბე) | 45 | 10 | 14 | 21 | 37—53 | 34 |
| „დინამო" (ტალინი) | 45 | 6 | 16 | 23 | 34—66 | 28 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 45 | 8 | 9 | 28 | 30—73 | 25 |

# გუშინ...

## გოლები გაიტანეს: დინამოელთაგან — მუსტიგინმა, ადამოვმა და ოდესელმა კანევსკიმ.

მინსკში გაიმართა მატჩი სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობაზე I ჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივი დინამოელები შეხვდნენ ოდესის „ჩერნომორეცს". თამაში მოიგეს მინსკელებმა ანგარიშით 2:1 და გათამაშების საბოლოო ცხრილში დაიკავეს V ადგილი.

## დღეს მეტად საინტერესო ტურია ...და მაინც დაძაბული ბრძოლა ხობელი ნორჩების ნარმატება

# გამოვლინდნენ ფინალისტები

## სოხუმის „დინამო" ფინალის მიღმა დარჩა

ბაქოსა და კიროვაბადში დამთავრდა „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა საუკეთესო გუნდების ნახევარფინალური ტურნირები. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ბაქოს „დინამომ", ლენინაბადის „პამირმა", ფერგანის „ნეფტიანიკმა" და კიროვაბადის „დინამომ".

ეს გუნდები ფინალურ ტურნირს ბაქოში გაითამაშებენ ერთ წრედ.



წერილი რედაქციას

# როდის გვეშველება?

წლების მანძილზე ჩაშლილია სპორტული მუშაობა სოფელ ქვიანის ახალგაზრდობას შორის. კომკავშირულ კრებებზე არა ერთხელ იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ჩამოყალიბდეს სპორტული სექციები, მოეწყოს სხვადასხვა სახის ღონისძიებანი, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა კი არავითარ ზომებს არ მიმართავს. დახმარების ნაცვლად გადაგვიხნეს ფეხბურთის სათამაშო მინდორი.

როგორც იქნა შევძელით საფეხბურთო კოლექტივის შექმნა, რომელიც სარაიონო გათამაშებაში მონაწილეობდა. მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობას არც უფიქრია ტრანსპორტით მისი უზრუნველყოფა.

ნუთუ სოფელ ქვიანის თავკაცებს არ აინტერესებთ ახალგაზრდების სპორტული ცხოვრება?

რ. მეგრელიშვილი, ვ. წულაძე, გ. ახაურავა და სხვანი.

სოფ. ქვიანი,

ლანჩხუთის რაიონი.

...ბურთის მინდორზე

...ფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩის ... მიღებული უკმაყოფილება ფეხბურ... ...ით გამოხატა. ხელყუმბარა ადგილობ... ...ბაჟის მოშორებით დაეცა. მოთამაშე... ხელყუმბარა არ აფეთქდა — დაზრტყ... მაგრამ სრულიად ნათელია, ხელყუმ... ...და, ადგილზევე გააციებდა.

...ღნიშნავს, რომ ბრენტფორდში მომხდა... ...უაზრო. უკანასკნელ ხანებში მაყურე... ...მდენად გაიზარდა, რომ ამან სერიო... ...საფეხბურთო ლიგა, არამედ სკოტლანდ... ...პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ...ინციდენტს „ინგლისის ფეხბურთის ...

...ანავე ინგლისის საფეხბურთო ლიგამ ...აი, რას წერს ამ თათბირის შესახებ ...სანის" მიმომხილველი პეტერ ლორენ...

...ობაში მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ ...და ჩხუბი. ლიგამ დაასკვნა, რომ სად... ...თავისუფლად შეუძლია კონკურენცია ...გულშემატკივრებს, რომლებმაც მთელ მსოფლიოს უჩვენეს ტრიბუნებზე თავიანთი ქცევის საზიზღარი მაგალითები".

ფეხბურთის ლიგის დავალებით ფოლოუმ ინგლისის მთავრობას გაუგზავნა წერილი, რომელშიც შესთავაზა საკანონმდებლო გზით მკაცრი სასჯელის მიყენება იმ მაყურებელთათვის, რომლებიც სტადიონებზე აყალმაყალს ატეხავენ.

„პატიმრობის სხვადასხვა ვადამ და უზარმაზარმა ფულადმა ჯარიმებმა, — ამთავრებს წერილს ლორენცო, — ხულიგნებს წესრიგისკენ უნდა მოუხმონ. მსოფლიოს ჩემპიონატამდე 9 თვეზე ნაკლები დარჩა. ამ დროის განმავლობაში ჩვენ ვალდებული ვართ საუკეთესო ტრადიციების მქონე ნამდვილი საფეხბურთო სახელმწიფოს რეპუტაცია დავიბრუნოთ"

## პელეს ულვაშები

ბოლო ხანებში სამხრეთ ამერიკის სპორტულ პრესას, ალბათ, არც ერთ თემაზე არ უწერია იმდენი, რამდენიც ფეხბურთის კერპის პელეს... ულვაშებზე. ბრაზილიური გაზეთების მკითხველებს ყოველდღიურად ეძლევათ საშუალება თვალყური ადევნონ იმას, თუ რამდენი მილიმეტრით გაიზარდა ეს უნიკალური ულვაშები.

პელეს ულვაშების გარშემო მრავალრიცხოვანი კამათი და დისკუსიები მიმდინარეობს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გულშემატკივართა დიდმა ჯგუფმა ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციას გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვდა პელესთვის აეკრძალათ ულვაშების მოშვება, ვინაიდან „პელე საკუთარ თავს კი არა, ქვეყანას ეკუთვნის, ხოლო მთელი მსოფლიო მიჩვეულია მის უულვაშო სახეს". რიო-დე-ჟანეიროს ხუთმა უდიდესმა სადალაქო სალონმა ფეხბურთის მეფეს ულვაშების უფასოდ მოვლა შესთავაზა. სუვენირების რამდენიმე მოყვარული სანტოსიდან და სან-პაულოდან მოპარსული ღერების შესაძენად სადალაქოებს დიდი ფულადი თანხის მიცემას დაპირდა. „სანტოსის" წევრებმა მოაწყეს ღია დისკუსია, რომელზეც სრულიად სერიოზულად მსჯელობდნენ საკითხზე, ხელს ხომ არ შეუშლის პელეს თამაშში ულვაშები?

თავად პელე კი? მან უბრალოდ განუცხადა ჟურნალისტებს:

— თუ კი შემიძლია ბურთს ფეხი დავარტყა, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველას შეუძლია ჩემს პირად ცხოვრებაში ჩაერიოს და საკუთარი ნებასურვილი მიკარნახოს. პირდაპირ არ მესმის, რატომ ატყდა ასეთი აურზაური. მე მომწონს ულვაშები — მორჩა და გათავდა".

## ფეხბურთის ბურთი — ახალშობილს

„მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა გულშემატკივარი" — ამ ტიტულის ტარება სავსებით სამართლიანად შეუძლია ინგლისელ ედი ჰარფორდს, რომელიც სტადიონზე დაიბადა მაშინ, როცა ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში ერთმანეთს ხვდებოდნენ „ბოლტონ უონდერერსი" და „არსენალი". „ბოლტონ უონდერერსის" გუნდის კაპიტანმა ახალშობილ გულშემატკივარს შეხვედრის ყველა მონაწილის მიერ ხელმოწერილი ბურთი უსახსოვრა. ფეხბურთელების სახელით, რომლებმაც საკუთარი თავი სამართლიანად მიიჩნიეს „ახალშობილის ნათლიებად", ედი ჰარფორდს აგრეთვე აჩუქეს 100 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ჩეკი.

სურათზე: „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონი ბელგრად



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომავალს იმედიანად ვუყურებთ

იუგოსლავიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთის, ბელგრადის „სპორტის“ რედაქცია დიდ, ლამაზ მოედანზეა მოთავსებული. აქ მუდამ ხალხმრავლობაა: სტენდებზე გაკრულია გაზეთის ახალი ნომრები, შეჯიბრებათა ამსახველი ფოტოსურათები, ფეხბურთის ცხრილები... სპორტული ჟურნალისტისთვის მუდამ საინტერესოა უცხო რედაქციის მუშაობის გაცნობა და ჩვენც ცნობისმოყვარეობით ვესტუმრეთ „სპორტის“ რედაქციას.

... 1939 წლის 18 მაისს ბელგრადში ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდები. მატჩის შედეგმა საფეხბურთო სამყაროს დიდი შითქმა-მოთქმა გამოიწვია: იუგოსლავიელები არ შეუდრკნენ მრისხანე მეტოქის მოზღვავებულ იერიშებს და გაიმარჯვეს — 2:1. სტუმარ-მასპინძლობის „ადათის დარღვევაში“ დიდი წვლილი შეიტანა მასპინძელთა ნაკრების მეკარე ლიუბომირ ლოვრიჩმა, რომელმაც ბევრჯერ იხსნა თავისი კარი ლოუტონის, მეტიუზისა და სხვათა დარტყმებისგან.

იმ დღიდან დიდი დრო გავიდა. სახელმოხვეჭილი მეკარე ლოვრიჩი ამჟამად ბელგრადის „სპორტის“ მთავარი რედაქტორია. ჩვენ—ცენტრალური სპორტკავშირის ფიზიკური კულტურის პროპაგანდის ფედერაციათა ბიუროს თავმჯდომარე მ. შიშიგინსა და ამ სტრიქონების ავტორს გაზეთის მთავარი რედაქტორი და რედაქციის თანამშრომლები გულითადად შეგვხვდნენ და ჩვენ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. „სპორტის“ თანამშრომლები ბევრ ქართველ სპორტსმენს იცნობენ კარგად.

ჩვენ ვთხოვეთ ლ. ლოვრიჩს „ლელოსთვის“ დაეწერა წერილი. მთავარმა რედაქტორმა თხოვნა შეგვისრულა...

მ. კაკაბაძე.

იუგოსლავიაში დღეს სამართლიანად ამაყობენ, რომ ომისშემდგომ პერიოდში განუზომლად გაიზარდა სპორტული მოძრაობა. სიმართლე რომ ვთქვათ, ომამდე აქ საერთოდ არ არსებობდა სპორტი. ესაა იმის ერთ-ერთი მიზეზიც, რომ ჩვენი სპორტი ჯერ კიდევ ვერ დადგა მაღალ საერთაშორისო დონეზე და ჯერ კიდევ „ყრმობის“ ასაკშია.

ომისშემდგომი წლების ფიზკულტურული დარგის მოღვაწეთა მისწრაფებაა ფიზიკური კულტურის ახალი, გამაჯანსაღებელი სახეობების შექმნა, რაც წარმატებით ხორციელდება. იუგოსლავიელებს ახლა უკვე ადრეული ასაკიდან შეუძლიათ დაიკმაყოფილონ სპორტით მეცადინეობის სურვილი. სწორედ აქედან მოდის წარმატებები, რომლებსაც ჩვენი სპორტი თანდათან იხვეჭს საერთაშორისო სარბიელზე. ყოველწლიურად მატულობს მსოფლიოს პირველობებსა, ოლიმპიურ თამაშებზე და ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებულ გამარჯვებათა რაოდენობა.

აი, ზოგიერთი მათგანი: უროს მტყორცნელმა გუბიანმა II ადგილი დაიკავა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში. ასევე მეორე იყო ფ. მიხალიჩი მარათონულ რბენაში მელბურნის ოლიმპიადაზე. სამჯერ აიღეს II ადგილი იუგოსლაველმა ოლიმპიელმა ფეხბურთელებმა (ლონდონში, ჰელსინკსა და მელბურნში), ხოლო რომში ოქროს მედლებიც მოიხვეჭეს. ამასთან, იუგოსლავიის ფეხბურთელებს II ადგილი ეკავათ ევროპაში და IV— მსოფლიოში. სამწუხაროდ, მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ჩვენმა ნაკრებმა მარცხი განიცადა და ფინალის მიღმა დარჩა, მაგრამ ჩვენ მაინც იმედის თვალით შევყურებთ მომავალს.

საიმედო ძალას წარმოადგენენ იუგოსლაველი წყალბურთელები, რომლებმაც სამ ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვეს ვერცხლის მედლები—ჰელსინკში, მელბურნსა და ტოკიოში. ეს კოლექტივი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ მთელ მსოფლიოში. ნიჩბოსნობაში ჩვენმა „ოთხიანებმა“ ჰელსინკის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიხვეჭეს.

ტოკიოს თამაშები იუგოსლავიელებისთვის წარმატებით აღინიშნა: წყალბურთელებმა მოიპოვეს ვერცხლის მედლები, ტანმოვარჯიშე მ. ცერარმა ოქროსა და ბრინჯაოს თითო მედალი მოიხვეჭა, მოჭიდავე სიმიჩი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მატინოვიჩი კი III ადგილით დაკმაყოფილდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იუგოსლავიელები პროგრამის მხოლოდ 8 სახეობაში გამოდიოდნენ, ეს დიდი მიღწევაა.

ფეხბურთი იუგოსლავიაში სპორტის ყველაზე უფრო პოპულარული სახეობაა. მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს მწვანე მინდვრებზე გაშლილ ბრძოლებს. გულშემატკივართა სიმპათიები გაყოფილია. ყველაზე მეტი გულშემატკივარი მაინც „ცრვენა ზვეზდას“, „პარტიზანს“, „დინამოს“, „ჰაიდუკსა“ და სარაევოს ორ გუნდს ჰყავს.

თითქმის ასეთივე პოპულარობით სარგებლობს ჩვენში კალათბურთი, რომელიც გულშემატკივართა აუდიტორიის მხრივ კონკურენციასაც კი უწევს ფეხბურთს. იუგოსლავიელმა კალათბურთელებმა ორჯერ მოიპოვეს ევროპის ვიცე-ჩემპიონის წოდება, ხოლო რიოდე-ჟანეიროს მსოფლიო პირველობაზე ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს: ბრაზილიელთა შემდეგ II ადგილი დაიკავეს. მაშინ ჩვენმა კალათბურთელებმა სძლიეს მსოფლიო კალათბურთში ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ფავორიტებს, როგორიც არიან ამერიკელი და საბჭოთა სპორტსმენები. ჩვენი კალათბურთის ძველი გვარდია, რომელიც თბილისში გამოდიოდა ევროპის პირველობის შესარჩევ თამაშებში, სულ მალე ადგილს დაუთმობს ახალგაზრდებს. საკლუბო გუნდებში ბევრი ნიჭიერი კალათბურთელია, რომლებიც უახლოეს ხანში შეცვლიან „ვერცხლის ბიძებს“.

დიდი შეცდომა იქნებოდა მელაპარაკა სამამულო სპორტზე და არაფერი მეთქვა ჩვენს ქვეყანაში დიდად პოპულარულ ჭადრაკზე. იუგოსლავიის საჭადრაკო სკოლა საბჭოთა კავშირის შემდეგ მსოფლიო ასპარეზზე წამყვან ადგილზეა. ამ უძველეს სახეობას ჩვენში დიდძალი თაყვანისმცემელი ჰყავს.

სამწუხაროდ, ასე არაა საქმე ველოსპორტში, თავისუფალ ჭიდაობაში, ცურვაში, ხელბურთში, ფრენბურთში, კრივსა და სპორტის ზოგიერთ სხვა სახეობაში.

საზოგადოების მხარდაჭერით იუგოსლავიური სპორტი ახალ-ახალი წარმატებებისკენ მიდის. გაივლის კიდევ ცოტა დრო და ჩვენ სპორტის ყველა სახეობაში გავუწევთ კონკურენციას ევროპის გუნდებს.

ლ. ლოვრიჩი,
გაზეთ „სპორტის“ მთავარი რედაქტორი.
ბელგრადი.

## ჩემპიონთა თასზე

როცა შოტლანდიის ჩემპიონი „კილმარნოკი“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მერვედფინალის კენჭისყრამ მადრიდის „რეალს“ დაუპირისპირა, შოტლანდიელთა მწვრთნელმა ალტაცება გამოთქვა: ამაზე უკეთეს მეტოქეს ვერც ვინატრებდით.

ოთხშაბათს, „კილმარნოკი“ საკუთარ მინდორზე შეხვდა „რეალს“. შოტლანდიელთა იერიშმა უკვე მე-10 წუთზე გამოიღო შედეგი — მაკილროიმ გახსნა ანგარიში. შემდეგ მაკლინმა 11-მეტრიანი დარტყმით ანგარიში გაზარდა — 2:0, მაგრამ ესპანელებმა გააძლიერეს კონტრშეტევები და პუშკაშის ზუსტი გადაცემით პირიმ გაიტანა საპასუხო გოლი — 1:2.

თუ პირველი ტაიმი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მეორე ნახევრის დასაწყისში „რეალი“ სრული ძალით ათამაშდა. კომბინაცია პუშკაში—ჰენტო—ამანსიო გოლით დამთავრდა — 2:2. ესპანელთა შეტევების მიუხედავად, შოტლანდიელმა მაკ კინელიმ შეძლო თავისი გუნდის წინ გაყვანა და „კილმარნოკმა“ გაიმარჯვა — 3:2.

თვის ბოლომდე გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს მადრიდში.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე მერვედფინალურ მატჩში ბელგრადის „პარტიზანი“ ბრემენში (გფრ) დამარცხდა ადგილობრივ „ვერდერთან“ — 0:1, მაგრამ მას პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდა ანგარიშით 3:0. ამიტომ იუგოსლავიელები ბურთების უკეთესი შეფარდებით გავიდნენ გათამაშების მეოთხედფინალში.

### გაზრობათა თასზე

II წრის პირველ მატჩში ვენის „ვინერ შპორტკლუბი“ თავის მინდორზე შეხვდა ლონდონის „ჩელსის“. ლონდონელებს აკლდათ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, თანაც მე-80 წუთზე მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ჰინტონი. 5 წუთის შემდეგ მასპინძლებმა 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანეს გოლი, რომელმაც მათს სასარგებლოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი — 1:0. საპასუხო შეხვედრა ჩატარდება დეკემბერში.

II წრის პირველ მატჩში ირლანდიის „შემროკ როვერზი“ შინ შეხვდა ესპანეთის „რეალ სარაგოსას“. უკიდურესად დაძაბული მატჩი დამთავრდა ფრედ— 1:1.

გათამაშების მერვედფინალში გავიდა შოტლანდიის „დანფერმლაინ ატლეტიკი“, რომელმაც კოპენჰაგენში დაამარცხა დანიის „ბოლდკლუბენი“ — 4:2 (პირველ მატჩშიც გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა — 5:0).

(საქ. ინფ.).

ფეხბურთი

### თასმ[?]ს მფლობელთა თასზე

გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა გლაზგოს „სელტიკი“ (შოტლანდია), რომელმაც შინ დაამარცხა დანიის „ორჰუსი“ — 2:0. გოლები გაიტანეს მაკნილმა და ჯონსტონმა. პირველ შეხვედრაშიც გამარჯვება „სელტიკის“ მხარეს იყო.

პრაქტიკულად გაინაღდა მეოთხედფინალში გასვლა „აუფბაუმ“ (გდრ), რომელმაც დიდი ანგარიშით დაამარცხა შვეიცარიის „სიონი“ — 8:1.

ოგივე შეიძლება ითქვას მადრიდის „ატლეტიკოს“ შესახებაც. ესპანელებმა რუმინეთის „შტიინცა“ დაამარცხეს მისივე მინდორზე — 2:0.

## ბონს უკან დახევა მოუხდა

ბონი, 17 ნოემბერი. დასავლეთგერმანული მთავრობა სპეციალური განცხადებით მიესალმა გერმანული სპორტული კავშირის (გფრ) გადაწყვეტილებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებთან კონტაქტის განახლების თაობაზე. უკანასკნელ ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეს კონტაქტი ფაქტიურად შეწყვეტილი იყო დასავლეთგერმანული მხარის ინიციატივით. იმის შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ სესიაზე (მადრიდში) დაადგინა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ორივე გერმანული სახელმწიფოს დამოუკიდებელი გუნდები, შპორტბუნდმა გადაწყვიტა აღადგინოს საერთო გერმანული სპორტული კავშირები. ორკვირიანი ყოყმანის შემდეგ ახლა ბონმაც დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება.

ორივე გერმანული სახელმწიფოს სპორტული საზოგადოებრიობა ასეთ გადაწყვეტილებას განიხილავს როგორც „ჰალშტეინის დოქტრინის“ — გდრ-ის არცნობის ბონის თეორიის — სპორტული ვარიანტის დამარცხებას.

დასავლეთგერმანული მთავრობის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ფედერაციულ რესპუბლიკაში არ არსებობს ისეთი დადგენილება, რომელიც ხელს შეუშლიდა გერმანიის ორივე ნაწილის სპორტსმენთა შორის შეჯიბრებების ჩატარებას. განცხადების ეს ადგილი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნაწილად განიხილება, რამდენადაც დასავლეთგერმანულმა სასამართლომ ორჯერ გამოაცხადა გერმანული სპორტული კავშირი (გდრ) „ანტიკონსტიტუციურ ორგანიზაციად“. სწორედ ამით პოლიციის ორგანოებს უფლება ეძლეოდათ დაეპატიმრებინათ გდრ-ის სპორტსმენები, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში სასპარეზოდ ჩადიოდნენ. მთავრობის განცხადება, სპორტული წრეების აზრით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამიერიდან სასამართლოს ეს გადაწყვეტილებანი გაუქმებულია.

საქვეყნო მიმოხილვა

## ხომ მსურთ მოისმინოთ დიდოსტატის ლექცია ან სეანსში ეთამაშოთ მას?

„როგორ შეიძლება ლექციისა და სეანსის მოსაწყობად ჩვენს საწარმოში (დაწესებულებაში) მოვიწვიოთ ამჟამად თბილისს მყოფი გამოჩენილი რომელიმე დიდოსტატი და ოსტატი, რომლებიც ტალ—სპასკის მატჩს ესწრებიან?“ — ასეთი შინაარსის წერილს მრავლად იღებს „ლელოს“ რედაქცია.

ამ საკითხზე მსურველებმა უნდა მიმართონ საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის განყოფილებას, რომლის მისამართია: ლენინის ქ. № 35, ტელეფონები: 3-10-53, 3-18-46, 9-76-74.

### დღეს

ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის შენობაში (კიროვის სახ. პარკი) საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია აწყობს კლდეზე ცოცვაში ქართველ მთამსვლელთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებისადმი მიძღვნილ საღამოს. დასაწყისი 19 ს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ვიტრინა

**სასტენდო სროლა.** „მონკავშირის“ სასროლეთი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 75). 20-21 ნოემბერი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 9 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. ახალგაზრდული გუნდების ტურნირი (1946-47-48 წლებში დაბადებულნი). 20 ნოემბერი. თბილისის განათლების განყოფილება — „დინამო“ (თბილისი). დასაწყისი 16 ს. 21 ნოემბერი. საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — საქართველო (ნაკრები). დასაწყისი 15 ს. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი (II ჯგუფი). „ლოკომოტივი“ (თბილისი) — სკა (ნოვოსიბირსკი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** ლენინის სახ. სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). 20-21 ნოემბერი. თბილისის პირადი პირველობა. დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05718